

4  
h-596

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი ბორისის ძე ჩიკოიძე

„შინაარსი↔ტექსტი“ მოდელის  
მორფოლოგიური დონის ქსელური  
წარმოდგენა

(ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენათა მასალაზე)

10.02.07 – ტიპოლოგიური და შედარებითი  
ენათმეცნიერება

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო  
სარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი  
2005

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტში

ოფიციალური ოპონენტები:

1. რ. ასათიანი  
უილოლოგის მეცნიერებათა  
დოქტორი (10.02.07)

2. ი. მელჩუკი  
მონერეალის უნივერსიტეტის  
ლინგვისტიკისა და თარგმანის  
კათედრის პროფესორი (10.02.07)

3. ი. ქობალავა  
უილოლოგის მეცნიერებათა  
დოქტორი (10.02.07)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 14 დეკემბერს 13 საათზე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
P.10.07. № 7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: თბილისი 0128, ი. ჯავახიშვილის ქ. № 1, I კორპუსი,  
ა. ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზი.


დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ი. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მისამართი: თბილისი 0134, უნივერსიტეტის ქ. № 2.

აგტორულატი დაგზარდა 2005 წლის 11 ნოემბერს

სადისერტაციო საბჭოს  
სწავლული მდგრადი  
უილოლოგის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

რ. ქურდამე



ნაშრომის ზოგადი დახასიათება.

**აქტუალობა.** ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფართო და  
ზოგადი კონტექსტი, რომელშიც მოცემულია მისი უშუალო მიზანი.  
პირველ რიგში, მორფოლოგიური პროცესორი წარმოადგენს გაცილებით  
უფრო მნიშვნელოვანი და რთული სისტემის, ანუ ენის მოდელის, ერთ-ერთ  
კომპონენტს. ეს მოდელი კი, თავის მხრივ, ენის შესწავლის ის  
თანამედროვე მეთოდია, რომლის მთავარი დანიშნულება ენის დინამიკური,  
ანუ ფუნქციური ასექტის ასახვა, სახელდობრ, იმ ასპექტისა, რომლის  
წყალობითაც, პირველ რიგში, ენა ასრულებს თავის კომუნიკაციურ  
დანიშნულებას: ტექსტის/მეტყველების ანალიზს/ სინთეზს. მეტიც,  
მოდელირება მეტად მნიშვნელოვანი გზაა ენის იმ უფრო მაღალი როლის  
წვდომისაგან, რომელსაც იგი ასრულებს როგორც ადამიანის მთელი  
მენტალური აქტივობის ერთ-ერთი პაზისური კომპონენტი, ანუ როგორც  
ადამიანის “აზროვნების სხეული” (პეტერ 1831). ეს კონკრეტური  
პერსპექტივა “შინაარსი⇒ტექსტის” ტიპის სრული მოდელის განუყრელ  
ასექტს ქმნის, რადგანაც მოდელირების მიზანის, ანუ ენის, მსოფლი  
მარჯვენა მხარე (“ტექსტი”) შეიძლება იყოს უშუალო დაკვირვების საგანი;  
რაც შეეხება “შინაარსს” (ისევე, როგორც ორმიმართულებიან ისარს “”,  
რომელიც დინამიკის სიმბოლოა), მოდელის სისრულეში მოსაყვანად (ამ  
მიღების ფარგლებში) აუცილებელია რადაც ჰიპოთეზები მისი  
სტრუქტურისა და ფუნქციონირების ხასიათის შესახებ, საკმაოდ  
სიღრმული მიღვომის შემთხვევაში კი – აზროვნებასთან მისი  
დამოკიდებულებისა და “გადახლართვის” შესახებაც. კომპიუტერზე  
რეალიზებული მოდელი კი ამ როგორი გადაწყვეტილების გამართლების  
და ეფექტურობის ერთადერთი რეალური საშუალება.

**მიზანი.** ბენგრივია, აქ შეიძლება გაგვიჩნიდეს ეჭვი: ამ ვებგრაფიკა  
პრობლემის კონტექსტში უგზოუკვლიდ ხომ არ იკარგება ისეთი  
მოკრძალებული მიზანი, როგორც პირველი შეხედვით ჩანს,  
მორფოლოგიური პროცესორის შექმნა და წარმოადგენა? ეს შენიშვნა  
ალბათ სამართლიანიც ექცევოდა, სიტყვა ენობრივი სისტემის (და  
შესაბამისად – მისი მოდელის) “ცენტრალური ერთული” რომ არ იყოს,  
თანაც სწორედ ის ერთადერთი, რომელიც “უოველოვის მისაწვდომია ჩვენი  
ცნობიერებისათვის” (ფ. დე სოსიური). შეიძლება ისიც ითქვას, რომ ეს  
“ცენტრალური” ელგმენტი, გარკვეული ცვალსახრისით, ის დერმია,  
რომლის გარშემოც ტრიალებს ენობრივი მექანიზმის მოელი  
ფუნქციონირება: მორფოლოგიური პროცესორი, რომელიც განაგებს ამ  
ერთულის ანალიზს/სინთეზს, მაგალითად, პირველის (ანალიზის)  
შემთხვევაში შლის ამ ერთულს შემადგენელ ჩაწილებად (მორფებად) და  
ამ დაშლის პროცესში ახდენს მოელი იმ ინფორმაციის ამოკრევას,